PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის თაობაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **შორენა ხუბუნაია**

წევრი: ნანა ხითარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ქუთაისის სამედიცინო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

■ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
პრაქტიკოსი ექთანი (მეხუთე საფეხური)	350	54	ვერ დგინდება, რადგან დაწესებულება არ ახორციელებს პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ინფორმაციის ასახვას
ფარმაცევტის თანაშემწე (მეხუთე საფეხური)	150	19	ვერ დგინდება, რადგან დაწესებულება არ ახორციელებს პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ინფორმაციის ასახვას

შენიშვნა: ზემოაღნიშნულ ცხრილში „აქტიური პროფეესიული სტუდენტენის რაოდენობა“ *ასახულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების მიხედვით, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, მათ აღარ ჰყავთ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები და არ ახორციელებენ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემების განახლებას.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) დირექტორის 2021 წლის 10 სექტემბრის MES 4 21 0000895022 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა ხითარიშვილი, ექსპერტთა ჯგუფის წევრი (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“), დაგვევალა შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში (ქ. ქუთაისი) 2021 წლის 14 და 15 სექტემბერს არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის "გ.ა" და "გ.ბ" კომპონენტებისა და „ე“ ქვეპუნქტით" განსაზღვრული სტანდარტის "ე.ბ" და "ე.გ" კომპონენტების შემოწმების მიზნით.

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში (შემდგომში „კოლეჯი“ ან „დაწესებულება“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე გათავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და ოქმს. 2021 წლის 11 სექტემბერს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ასევე ესწრებოდა ცენტრის წარმომადგენელი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგი (დანართი N1) და ჯგუფის წევრს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფი და ცენტრის წარმომადგენელი შეთანხმდა ვიზიტის დღის წესრიგზე და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

ექსპერტთა ჯგუფს ცენტრმა მიაწოდა ინტერნეტ მედიაში - www.feedc გავრცელებული ინფორმაცია - შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში შესაძლო კორუფციული გარიგების თაობაზე. რეპორტაჟში - **კორუფცია ისევ საგანმანათლებლო დაწესებულებებში? რა ხდება ქუთაისის სამედიცინო კოლეჯში?** (იხ.დანართი N4) საუბარია კოლეჯის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასა და მათი აქტიური სტატუსის ფლობის თაობაზე ცნობების გაცემის ფაქტზე, ერთ-ერთი ასეთი ცნობა თან ახლავს რეპორტაჟს, სადაც აღნიშნულია, რომ დოკუმენტის მიმღები ნამდვილად სწავლობს მოცემულ კოლეჯში ფარმაციის პროგრამაზე და სწავლის დასრულების დრო არის 2023 წელი, მაშინ, როდესაც პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
შესახებ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის 1[2] პუნქტის მიხედვით, დაწესებულება ვალდებულია საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა. აღსანიშნავია, რომ ცნობა გაცემული იყო დაწესებულების სახელით, კოლეჯის ოფიციალურ ბლანკზე დატანილი ტექსტით, კოლეჯის ბეჭდითა და რექტორის ხელმოწერით. (გამოქვეყნებულ დოკუმენტში დაცულია პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნები).

მიმდინარე წლის 14 სექტემბერს ცენტრის ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე, დილის 10:00 საათზე ექსპერტთა ჯგუფი და ცენტრის წარმომადგენელი კოლეჯში გამოცხადდა დაწესებულების მიერ ავტორიზაცის მესამე და მეხუთე სტანდარტის (5.2 და 5.3 კომპონენტის) პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით. ვიზიტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის თანახმად, დაწესებულებაში ვიზიტის ბრძანება და აგრეთვე დღის წესრიგი დაწესებულების წარმომადგენელს უნდა გაცნობოდა უშუალოდ ვიზიტის დაწყების წინ. ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურმა 2021 წლის 14 სექტემბერს დაწესებულებას აგრეთვე გაუგზავნა აღნიშნული მონიტორინგის ვიზიტის ბრძანება.

კოლეჯის ტერიტორიაზე, სადაც ასევე განთავსებულია სასტუმრო, იმყოფებოდა რამდენიმე პირი. ექსპერტთა ჯგუფმა მიაწოდა მათ ინფორმაცია კოლეჯში ვიზიტის თაობაზე. ერთ-ერთმა განაცხადა, რომ კოლეჯში არავინ არ იმყოფებოდა და დარეკა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან - [redacted], აცნობა ექსპერტთა ჯგუფის სტუმრობის თაობაზე და გაასაუბრა ცენტრის წარმომადგენელს. მან აღნიშნა, რომ მალე გამოცხადდებოდა კოლეჯში. აგრეთვე შედგა სატელეფონო კომუნიკაცია დაწესებულების რექტორთან, ბატონ იოსებ კაჭახიძესთან და მიეწოდა ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის თაობაზე. ბ-ნმა იოსებმა განაცხადა, რომ იმყოფებოდა ქ. თბილისში. მას განემარტა, რომ საკმარისი იყო დაწესებულებაში გამოცხადებულიყო პასუხისმგებელი პირი, რომელიც ითანამშრომლებდა ექსპერტთა ჯგუფთან. ბ-ნ მა იოსებმა განაცხადა, რომ ვერც ერთი თანამშრომელი ვერ ითანამშრომლებდა ექსპერტთა ჯგუფთან, ხოლო თავად მალევე წამოვიდოდა თბილისიდან. გარკვეული პერიოდის შემდეგ განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, ქალბატონ ნ. ჭიღლაძესთან, რომელმაც განაცხადა, რომ იგი უკვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
მოდიოდა კოლეჯში, მაგრამ მას დაურეკა ბ-მ იოსებმა და უთხრა, რომ არ შეხვედროდა ექსპერტთა ჯგუფს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ისევ შედგა სატელეფონო საუბარი ბ-ნ იოსებთან, რომ დაზუსტებულიყო დრო, თუ როდის შეძლებდა ის კოლეჯში მოსვლას. ბ-მა იოსებმა აღნიშნა, რომ ის მეუღლეს 13:00 საათზე გაიყვანდა პეკინზე (ქ. თბილისი) და შემდეგ წამოვიდოდა, კოლეჯში შეხვედრის დროდ განისაზღვრა 18:30 საათი. ვინაიდან ცენტრისთვის ცნობილი იყო, რომ კოლეჯის დირექტორად ფიქსირდებოდა ბ-ნი იოსების ვაჟი - გიორგი კაჭახიძე, მასთანაც შედგა სატელეფონო კომუნიკაცია. ბ-ნმა გიორგიმ განაცხადა, რომ ის აღარ არის კოლეჯის დირექტორი.

ექსპერტთა ჯგუფი კოლეჯში განმეორებით გამოცხადდა ბ-ნ იოსებთან შეთანხმებულ დროს - 18:20 საათზე, კოლეჯში არავინ არ იმყოფებოდა. 18:26 საათზე განხორციელდა სატელეფონო ზარი ბ-ნ იოსებთან, თუმცა მან ზარს არ უპასუხა. განმეორებითი სატელეფონო ზარი შედგა 19:01 საათზე, რა დროსაც ბ-ნმა იოსებმა განაცხადა, რომ ის იმყოფებოდან გზაში და 1.5 საათში იქნებოდა ქუთაისში, იყო სიცხიანი და ჰქონდა კოვიდი. შეკითხვაზე, თუ რატომ არ განაცხადა კოვიდის თაობაზე მან დილით საუბრისას, აღნიშნა რომ ეს მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა და დაიცავდა დისტანციას. ბ-ნ იოსებს განემარტა, რომ ყოვლად დაუშვებელი იყო კოვიდ ინფიცირებულთან კონტაქტი და გამომდინარე იქიდან, რომ იგი გვიან ჩამოვიდოდა ქუთაისში, შედგა შეთავაზება, რომ ექსპერტთა ჯგუფი კოლეჯში გამოცხადდებოდა 2021 წლის 15 სექტემბერს, დილის 10:00 საათზე, კოლეჯში დახვდებოდა პასუხისმგებელი პირი, რომელიც ითანამშრომლებდა ექსპერტთა ჯგუფთან, ხოლო ბ-ნ იოსებთან კომუნიკაცია შედგებოდა ონლაინ პლატფორმის გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ ბ-ნ იოსებს არაერთხელ განემარტა, რომ ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა არსებობდეს უფლებამონაცვლე პირი/პირები და შეუძლებელია დაწესებულება დამოკიდებული იყოს ერთ ადამიანზე. მას აგრეთვე განემარტა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24-ე პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის დროს დაწესებულება არ ითანამშრომლებდა ექსპერტებთან ან/და არ მისცემდა სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობას, შესაფასებელი სტანდარტ(ები)ი შეფასდებოდა როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
კიდევ ერთი სატელეფონო კომუნიკაცია განხორციელდა 19:40 საათზე, რა დროსაც ბ-მა იოსებმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს 2021 წლის 15 სექტემბერს, დილის 10:00 საათზე კოლეჯში დახვდებოდათ პასუხისმგებელი პირი, ხოლო თავად ჩაერთვებოდა ონლაინ სხვა ლოკაციიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით, ბატონ იოსებს 2021 წლის 14 სექტემბერს 23:23 საათზე ელ. ფოსტაზე გაეგზავნა ჩართვაზე მოწვევა (ზუმის ლინკი).

2021 წლის 15 სექტემბერს დილით 10:00 საათზე ექსპერტთა ჯგუფი და ცენტრის წარმომადგენელი გამოცხადდა კოლეჯში. სადაც მათ დახვდათ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი ქალბატონი ნ. ჭიღლაძე. ქ-ნმა ნანამ განაცხადა, რომ ვინადან პარასკევს, 2021 წლის 10 სექტემბერს კოლეჯის რექტორი ბ-ნი იოსები იმყოფებოდა კოლეჯში, ხოლო მას ამჟამად ჰქონდა კოვიდ ინფექცია, მიზანშეწონილად ჩაითვალა კოლეჯის ადმინისტრაციული შენობის იმ ნაწილის დეზინფექცია, სადაც განთავსებულია ადმინისტრაციული სივრცე, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფისა და ცენტრის წარმომადგენლის სამუშაო სივრცედ შესთავაზა კოლეჯის ერთ-ერთი სასწავლო ოთახი, რომელსაც ჰქონდა დამოუკიდებელი შესასვლელი. ექსპერტთა ჯგუფი და ცენტრის წარმომადგენელი გაესაუბრა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს, გაეცნო მას ვიზიტის ბრძანება და დღის წესრიგი, გაცნობის ფაქტი დადასტურდა მისი ხელმოწერით. ქ-ნ მა ნანამ აღნიშნა, რომ ორგანიზაციის ბეჭედი და ყველა დოკუმენტაცია არის ჩაკეტილი ადმინისტრაციულ სივრცეში, სადაც უნდა განხორციელდეს სადეზინფექციო სამუშაოები. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების პერიოდითა და ადმინისტრაციულ სივრცეში პირის უსაფრთხო დაშვების შესაძლებლობით, რომლის დროსაც მოხდებოდა მხოლოდ დოკუმენტაციის გამოტანა. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა სატელეფონო კომუნიკაცია კოლეჯის თქმით - სადეზინფექციო სამუშაობის განმახორციელებელ პირთან, რომელმაც განაცხადა, რომ სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებიდან სივრცეში პირთა უსაფრთხო დაშვება შესაძლებელი იქნებოდა ასეთი საუშაოების განხორციელებიდან ერთი საათის შემდეგ, ხოლო სადეზინფექციო სამუშაოებს ჩაატარებდნენ 14.00 საათისათვის, თუმცა დღის განმავლობაში აღნიშნული სამუშაო არ ჩატარებულა. კოლეჯის რექტორთან განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია დისტაციურად ჩართვის მიზნით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფისა და ცენტრის წარმომადგენლის არაერთი მცდელობის მიუხედავად, ბ-ნმა იოსებმა ვერ შეძლო ონლაინ ჩართვა (შეთავაზებულ იქნა არაერთი ონლაინ პლატფორმა, მათ შორის: ზუმი, google meet, მესენჯერი), ამიტომ კომუნიკაცია განხორციელდა ტელეფონის საშუალებით, ხმოვან რეჟიმში, საუბარს ასევე ესწრებოდა კოლეჯის ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
უზრუნველყოფის სამსახურის წარმოადგენელი ქ-ნი ნანა ჭიღლაძე. საუბრისას ბატონმა იოსებმა განაცხადა, რომ იცნობდა www.feedc-ზე განთავსებულ ინფორმაციას, რომელსაც ამავდროულად დართული ჰქონდა მისი დაწესებულების სახელით, ოფიციალურ ბლანკზე დატანილი ტექსტით, კოლეჯის ბეჭდითა და ბ-ნი იოსების ხელმოწერით დამოწმებული ცნობა. აღნიშნულთან დაკავშირებით ბ-ნმა იოსებმა განაცხადა, რომ მის კოლეჯს ასეთი დოკუმენტი არ გაუცია, კოლეჯში არ არის აქტიური სტატუსის მქონე პირები და აღნიშნული დოკუმენტი არ შეესაბამება სინამდვილეს, შესაბამისად არ არის ინფორმირებული ცნობის მიმღების ან აღნიშნული ინფორმაციის გამავრცელებელთა ვინაობის თაობაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ www.feedc-ზე განთავსებული ინფორმაცია არის სიცრუე.

ექსპერტთა ჯგუფი ავტორიზაციის შესაბამისი სტანდარტებიდან გამომდინარე, გაესაუბრა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს, რომელმაც განაცხადა, რომ ბოლო კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდა 2021 წლის მაისსა და ივნისის თვეში და გამოიცა კოლეჯის რექტორის ბრძანება. ამ ეტაპისათვის მათ არ ჰყავთ აქტიური სტატუსის მქონე პირები, თუმცა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში „რეესტრი“) ფიქსირდება 73 აქტიური სტატუსის მქონე პირი. ეს ფაქტი ქალბატონმა ნანამ ახსნა მისი ბრალეულობით, რომ რეესტრში დროულად არ ასახა შესაბამისი ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას დამტკიცებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები (ბრძ. N1/03; 03.01.2019), სადაც საქმისწარმოების მენეჯერის ფუნქციებშია გაწერილი პროფესიულ სტუდენტთა, კოლეჯისა და პერსონალის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემების საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში შეტანის ვალდებულება. საუბრისას გამოიკვეთა, რომ ამ 73 სტუდენტიდან ზოგიერთს არ მიენიჭა კვალიფიკაცია და მათ შეჩერებული აქვთ სტუდენტის სტატუსი, თუმცა აღნიშნული ინფორმაციაც არ არის ასახული რეესტრში. ვინაიდან ვერ დგინდება პროფესიული განათლების მართვის სისტემაში კოლეჯში ჩარიცხულ პირთა სტატუსი, წინამდებარე დასკვნაში მოცემული პირები ნახსენები იქნება როგორც „პროფესიული სტუდენტი/კურსდამთავრებული“. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქ-ნი ნანას თქმით კოლეჯში ირიცხებოდნენ მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტები, თუმცა მათ შესახებ რეესტრში არანაირი ინფორმაცია არ ასახულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
ექსპერტთა ჯგუფი დღის ბოლომდე იმყოფებოდა კოლეჯში, თუმცა დაწესებულებამ **<u>არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი,</u>** რითაც დადასტურდებოდა მონიტორინგს დაქვემდებარებული სტანდარტების შესრულების ფაქტი.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო შემდეგი აქტივობების განხორციელება:
- კოლეჯის რექტორთან სატელეფონო გასაუბრება;
- კოლეჯის ხარისხის უზრუველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან გასაუბრება;
- კოლეჯის კანცელარიის თანამშრომელთან სატელეფონო გასაუბრება;
- პროფესიული სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან სატელეფონო გასაუბრება, რომელთა შესახებ ინფორმაცია ამოღებულ იქნა რეესტრიდან;
- კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელის დათვალიერება, ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციისა და მარეგულირებელი აქტების შესწავლა (დანართი N3). კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია არის სწორი და ვალიდური გარდა შემდეგი დოკუმენტისა: „შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. აღნიშნული დოკუმენტი ექსპერტთა ჯგუფს ელექტრონულად მიეწოდა ცენტრის წარმომადგენლის მეშვეობით.
- პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაციის შემოწმება;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ძირითადი მიგნებების ჩამოყალიბება და კოლეჯის წარმომადგენლისათვის გაცნობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელმა და კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა შეადგინა კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტის თაობაზე აქტი, სადაც აისახა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კოლეჯში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა, აქტი ხელმოწერილია სამივე მხარის (ექსპერტთა ჯგუფი, ცენტრის წარმომადგენელი, კოლეჯის წარმომადგენელი) მიერ და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტის დანართის სახით (იხ. დანართი N2).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 2 21 0001076983 წერილი, კოლეჯის არგუმენტირებული დასაბუთების მიზნით წარმოდგენილი კორესპოდენცია და მისი დანართები. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა კოლეჯის არგუმენტირებულ პოზიცია და მისი დანართები, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- კოლეჯის მიერ წარმოდგენილ კორესპოდენციაში მითითებულია, რომ დანართის სახით წარმოდგენილია კოლეჯის ოფიციალური ბლანკი, თუმცა წერილს ასეთი დანართი არ ახლავს;
- კოლეჯის ხელმძღვანელი წერილის დასაწყისში აღნიშნავს, რომ ისინი აწარმოებენ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (კერძოდ ასახულია სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია), ამავე წერილის შემდეგ ნაწილში ასევე აღნიშნულია, რომ კოლეჯს არ ჰყავს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები, რის გამოც თანამშრომლები გაშვებულ იქნა უვადო შვებულებაში, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კოლეჯის პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ფიქსირდებოდა 73 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი (ვრცლად იხილეთ კოლეჯში ვიზიტის პერიოდში შექმნილი აქტი), რის მიხედვითაც ცალსახაა, რომ დაწესებულება არ აწარმოებს სისტემაში ინფორმაციის ასახვას კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ასევე საყურადღეობა დაწესებულების პოზიცია თანამშრომელთა უვადო შვებულებაში გაშვების თაობაზე, საქართველოს კანონმდებლობა უვადო შვებულების ცნებას არ ცნობს (საქართველოს ორგანული კანონი - შრომის კოდექსი);
- კოლეჯის ხელმძღვანელი კორესპოდენციაში აღნიშნავს, რომ ქალბატონი ნ. ჭიღლაძე არ წარმოადგენს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რის დასტურადაც წარმოადგინა აღნიშნული თანამდებობიდან ნ. ჭიღლაძის გათავისუფლების ბრძანება. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ბრძანება (N1/02, 28.01.2020) ეხება დაწესებულების ერთწლიანი 2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცებას და თანამდებობიდან გათავისუფლებას (ბრძანების სათაური), ამავე ბრძანების ჩანაწერის მიხედვით გათავისუფლებულია ქალბატონი ნ. ჭიღლაძე ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია-მოვალეობებისაგან, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მოვალეობას შეასრულებს კოლეჯის რექტორი. ერთ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტში ორი სხვადასხვა შინაარსის, მათ შორის ერთი საკადრო საკითხის შესახებ გადაწყვეტილება წინააღმდეგობაშია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქმისწარმოების ერთიანი წესებთან“ (მუხლი 38. პ. 3.ა); მუხლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

51. 3. 3). საყუადღებოა ის ფაქტი, რომ კოლეჯის ხარისხის უზრუნელყოფის სამსახურის წარმომადგენლად დაწესებულების ვებგვერდზე მითითებულია ქ-ნი ნ. ჭიღლაძე (ვებგვერდზე ყველა ინფორმაციის ნამდვილობა, გარდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა, დადასტურებულია კოლეჯის წარმომადგენლის მიერ, ვრცლად იხ. დანართი N2-კოლეჯში ვიზიტის პერიოდში შექმნილი აქტი), კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას, ქ-ნი ნ. ჭიღლაძე ასევე წარმოდგენილი იყო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის სტატუსით და ამავე სტატუსით არის ხსენებული აქტში, რომელიც ასევე მის მიერაა ხელმოწერილი. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ გადაამოწმა აღნიშნული ინფორმაცია და 2021 წლის 13 ოქტომბერს მივმართეთ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, მოეწოდებინა ინფორმაცია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის მიხედვით, თუ ვინ იყო კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2020 წლის 3 აგვისტოს შესული შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის თვითშეფასების ანგარიშში (ცენტრში რეგისტრაციის ნომერი 654650. დაწესებულების წერილის ნომერი 4/47. 31.07.2020) კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირი პროფესიული განათლების ნაწილში პოზიციაზე მითითებულია ნანა ჭიღლაძე და თვითშეფასებაში მისი საკონტაქტო ინფორმაციაა მოცემული. ასევე, 2020 წლის 7 თებერვალს, ქალბატონი ნანა ესწრებოდა პსდ-ს ავტორიზაციის საბჭოს სხდომას, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, რასაც ადასტურებს როგორც ოქმი, ასევე კოლეჯის რექტორის იოსებ კაჭახიძის წერილი (151136. 07.02.2020, დაწესებულების წერილის ნომერი 4/16. 03.02.2020). ზემოაღნიშნულის მიხედვით, თუ 2020 წლის 28 იანვარს ქალბატონი ნ.ჭიღლაძე განთავისუფლდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგნელის თანამდებობიდან, გაუგებარია რატომ ფიქსირდება დაწესებულების მიერ მომდევნო თარიღებში წარმოდგენილ დოკუმენტებში ქ-ნი ნ. ჭიღლაძე, როგორც ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;

- კოლეჯის ხელმძღვანელი წერილში აღნიშნავს, რომ 8 ოქტომბერს დაუდასტურდა კოვიდი, რის გამოც იმყოფებოდა თბილისში, ხოლო ექსპერტებისათვის დოკუმენტების მიწოდების მიზნით ჩავიდა ქუთაისში, ხოლო კოლეჯში გამოცხადებული იყო კარანტინი, რის დასტურადაც წარმოდგენილია ბრძანება N1/05, 10.09.2021. თუ კოლეჯში 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

წლის 10 სექტემბერს გამოცხადდა კარანტინი, აღნიშნული ინფორმაცია რატომ არ ეცნობათ ექსპერტებს კოლეჯში ვიზიტის დღეს, 14 სექტემბერს. ასევე, გაუგებარია თუ 8 ოქტომბერს ბ-ნ იოსებს გამოუვლინდა კოვიდ ინფექცია, რატომ გამოცხადდა კარანტინი კოლეჯში 10 სექტემბერს;

- კოლეჯის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში საუბარია, რომ კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის წესი და ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსებული არ იყო. ვინაიდან მოცემული დოკუმენტი ექსპერტთა ჯგუფისათვის ხელმისაწვდომი გახდა კოლეჯის არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე, აღნიშნული დოკუმენტი გაზიარებულ იქნა. რაც შეეხება ამავე ვებგვერდზე განთავსებულ სასწავლო პროცესის მართვის წესს, კოლეჯის წარმომადგენელმა ნ. ჭიღლაძემ აღნიშნა, რომ იყო ძველი ვერსია და ექსპერტთა ჯგუფს ცენტრის წარმომადგენლის მეშვეობით მიაწოდა სხვა ვერსია (ვრცლად იხილეთ აქტი), ამჟამად ვებგვერდზე განთავსებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის იგივე/ძველი ვერსია, რაც ქ-ნი ნ. ჭიღლის თქმით იყო შეცვლილი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გაურკვეველია დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების მოქმედი ვერსიები;
- კოლეჯის არგუმენტირებული პოზიციის წერილის მიხედვით წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მინიჭების, მობილობის წესით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ბრძანებები, შემოსული და გასული კორესპოდენციის ჟურნალების ასლები, რომელთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:
  - გასული კორესპოდენციის ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, 2020 წლის 13 იანვარს გაცემულია ცნობა ანა ავალიანის სახელზე კოლეჯის დამთავრების შესახებ, მაშინ როდესაც ანა ავალიანს კვალიფიკაცია მიენიჭა რექტორის 2020 წლის 10 თებერვლის N1/03 ბრძანებით;
  - გასული კორესპოდენციის ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, 2020 წლის 9 ნოემბერს გაცემულია ცნობა თ. ვარდანაშვილის მიერ კოლეჯის დამთავრების შესახებ, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანება გამოცემულია 02.12.2020 ბრძანება N 1/10;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

- გასული კორესპოდენციის ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, 2021 წლის 12 აპრილს ტიმოთე პიუსტკოს სახელზე გაცემულია ცნობა პროფესიული სტუდენტის შესახებ, მაშინ როდესაც მას კვალიფიკაცია მინიჭებული აქვს 2021 წლის 29 იანვრის N1/01;
- გასული კორესპოდენციის ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, 2020 წლის 17 ივნისს სალომე მიქაუტაძის სახელზე გაცემულია ცნობა პროფესიული სტუდენტის შესახებ, მაშინ როდესაც მისთვის კვალიფიკაცია მინიჭებულია 2020 წლის 10 თებერვალის N1/03 ბრძანებით და სხვა;
- გასული კორესპოდენციის ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, კოლეჯის მიერ 2020 წლის 24 აგვისტოს ს. გურგენიძის სახელზე გაცემულია ცნობა პროფესიული სტუდენტის შესახებ, მაშინ როდესაც ს. გურგენიძეს კვალიფიკაცია მინიჭებული აქვს 2020 წლის 10 თებერვლის N1/03 ბრძანებით;
- გასული კორესპოდენციის ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, კოლეჯის მიერ ნინო ჯიქურიძის სახელზე 2020 წლის 29 ივნისს და 2020 წლის 6 აგვისტოს გაცემულია ცნობები პროფესიული სტუდენტის შესახებ, მაშინ როდესაც ნინო ჯიქურიძეს კვალიფიკაცია მინიჭებული აქვს 2020 წლის 10 თებერვლის N1/03 ბრძანებით;
- აღსანიშნავია, რომ კოლეჯის მიერ წარმოდგენილ აქტებში არ იძებნება კოლეჯში თ. ბოჭორიშვილის ჩარიცხვის და მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტი, თუმცა კოლეჯის გასული კორესპოდენციის ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, 2021 წლის 25 იანვარს მის სახელზე გაცემულია ცნობა პროფესიული სტუდენტის შესახებ;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 7 ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ, რომელთაც ახლავს კვირეებში გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, თუმცა ვერ დგინდება საიდან გადმოვიდნენ სტუდენტები, რა წინმსწრებ განათლებას ფლობდნენ, როგორ განხორციელდა მიღებული განათლების აღიარება, იყვნენ თუ არა პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი/ჩართულნი ინდივიდუალური გეგმების შემუშავების პროცესში და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

V. ავტორიზაციის მე-3 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	--	არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	--	არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.2) საინფორმაციო რესურსები	--	არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	--	არ შეესაბამება

შენიშვნა:

- ექსპერტთა ჯგუფის მიერ მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან“, რადგან აღნიშნული სტანდარტის ორივე კომპონენტი შეფასდა როგორც „შეუსაბამო“;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ მეხუთე სტანდარტი შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან“ , რადგან 5.2 და 5.3 კომპონენტები შეფასდა როგორც „შეუსაბამო“.

14

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

ვინაიდან დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს არ მიაწოდა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, ვერ განხორციელდა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ვინდაინ, ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი და მტკიცებულება მონიტორინგს დაქვემდებარებული სტანდარტის შესაბამისი კომპონენტების შესრულების თაობაზე, ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24-ე პუნქტის შემდეგი ჩანაწერით „იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის დროს დაწესებულება არ ითანამშრომლებს ექსპერტებთან ან/და არ მისცემს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობას, შესაფასებელი სტანდარტი შეფასდება როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3.1.1.1 ინდიკატორი - *პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა,* შეფასდა **შეუსაბამოდ** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი ან მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას, მათ შორის პროფესიული სტუდენტის ჩართულობას მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

3.1.1.2 ინდიკატორი – *პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს,* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს. პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას ასევე არ დადგინდა მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების თაობაზე ინფორმაციის ფლობის ან გამოყენების შემთხვევები (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

3.1.1.3 ინდიკარორი - *პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით,* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს. პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას ასევე არ დადგინდა მათი ინფორმირებულობა შეფასების სისტემის/შედეგების გასაჩივრების პროცედურების ცოდნის ან გამოყენების შემთხვევები (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

16

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

3.1.1.4 ინდიკატორი - *პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა,* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მათი პირადი საქმე არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის დადასტურების მიზნით, ან სხვა დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

3.1.1.5 ინდიკატორი - *პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით ვერ დგინდება პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის, ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წამოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი).

3.2.1.1 ინდიკატორი - *პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად,* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს. პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით ასევე არ დადგინდა სათანადო კონსულტირებისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

3.2.1.2 ინდიკატორი - *პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან,* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს. პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას ასევე არ დადგინდა სასწავლო პროცესთან სტუდენტთა ადაპტაციის მექანიზმების გამოყენება (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

3.2.1.3 ინდიკატორი - *პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს, აღნიშნული ასევე არ დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

3.2.1.4 ინდიკატორი - *პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას,* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს, აღნიშნული ასევე არ დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

3.2.1.5 ინდიკატორი - *პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი).

3.2.2.1 ინდიკატორი *-კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს, აღნიშნული ასევე არ დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

3.2.2.2 ინდიკატორი - *პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს, აღნიშნული ასევე არ დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

3.2.2.3 ინდიკატორი - *პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს, აღნიშნული ასევე არ დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

3.2.2.4 ინდიკატორი - *კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს, აღნიშნული ასევე არ დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი).

5.2.1.1 ინდიკატორი – *პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს, დაწესებულებამ არ უზრუნველყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შესაძლებლობა (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

5.2.1.2 ინდიკატორი – *პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

5.2.1.3 ინდიკატორი – *დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს, ხოლო ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციითა და დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებისას დადასტურდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის დარღვევის ფაქტები. (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

5.2.1.4 ინდიკატორი - *პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

5.2.1.5 ინდიკატორი - *პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს. აღნიშნული ასევე ვერ დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას, (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

5.2.1.6 ინდიკატორი - *პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი).

5.2.2.2 ინდიკატორი - *პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

5.2.2.3 ინდიკატორი - *პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულება არ ახორციელებს სისტემაში მონაცემების განახლებას. (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

5.2.2.4 ინდიკატორი - *პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

5.2.3.1 ინდიკატორი - *პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ ახორციელებს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში ინფორმაციის განახლებას. (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

5.2.3.3 ინდიკატორი - *პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია არ არის სანდო და უტყუარი. (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

5.2.3.4 ინდიკატორი - *საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ კატალოგში საგანმანათლებლო აქტივობების თაობაზე ანონსის სახით მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

5.2.3.5 ინდიკატორი - *პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულება არ ახორციელებს კატალოგის განახლებას, ვებგვერდზე განთავსებული კატალოგი თარიღდება 2019 წლით, ხოლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სასწავლო აქტივობა კოლეჯში დასრულდა 2021 წლის გაზაფხულზე. (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

5.2.3.6 ინდიკატორი - *საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი).

5.3.1.1 ინდიკატორი - *პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა ორგანიზაციის ბიუჯეტი, ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული ანგარიშები ან სხვა დოკუმენტაცია, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

5.3.1.2 ინდიკატორი - *საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

5.3.1.3 ინდიკატორი - *დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი);

5.3.1.4 ინდიკატორი - *დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე* შეფასდა **შეუსაბამოდ,** რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს (იხ. ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი).

IX. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

XI. სტანდარტების შეფასება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.1.1.1 დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის, ასევე კოლეჯის პროცესების რეგულირებისათვის დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების შინაარსის შესწავლისა და შემდგომ მათი შესრულების მტკიცებულებათა გამოთხოვნის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს. ინტერვიურებისას ექსპერტთა შეკითხვაზე - ვებგვერდზე - - www.kms.edu.ge განთავსებული ინფორმაცია, მათ შორის შიდა მარეგულირებელი აქტები იყო თუ არა ვალიდური/საბოლოო ვერსიები, მან აღნიშნა, რომ კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.kms.edu.ge განთავსებული ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია იყო იმ დროისათვის კოლეჯში მოქმედი ვერსიები, გარდა „სასწავლო პროცესის მართვის წესისა“ (იხ. დანართი N5), რომელიც ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ცენტრის წარმომადგელის მეშვეობთ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოცემული დოკუმენტის შესწავლისას ვერ დადგინდა დოკუმენტის იურიდიული სტატუსი - არ არის წარმოდგენილი უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილება - ბრძანება ან სხვა აქტი, რაც დაადასტურებდა მოცემულ დოკუმენტში განხორციელებული ცვლილებების ფაქტს, ინფორმაცია დოკუმენტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ არ არის მითითებული თავად დოკუმენტზე, მეტიც - დოკუმენტის შაბლონური რეკვიზიტში მითითებულია 2019 წელი, ხოლო დოკუმენტის სატიტულო გვერდზე - 2020 წელი. აღნიშნული წესის მე-9 მუხლში - **სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება** გაწერილი პროცედურა არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის“ მოთხოვნებთან, კერძოდ, არ არის განსაზღვრული ფორმალური განათლების აღიარების პროცედურა და ვადები, აღიარების კომისიის შექმნისა და მუშაობის წესი, ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობის პროცედურა. კოლეჯის წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებამ განახორციელება მიღებული განათლების აღიარება, შექმნა შესაბამისი დოკუმენტაცია, თუმცა ექსპერტთა მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ ასეთი დოკუმენტები არ წარმოადგინა. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, განაცხადა კოლეჯის ხელმძღვანელმა, რომ კოლეჯს აქვს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების წესი და ის განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე, რაც ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული არ იყო. ვინაიდან მოცემული დოკუმენტი ექსპერტთა ჯგუფისათვის ხელმისაწვდომი გახდა კოლეჯის არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე, აღნიშნული დოკუმენტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა. კოლეჯის ამავე წერილის მიხედვით, ვებგვერდზე გათავსებულია სასწავლო პროცესის მართვის წესი. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კოლეჯის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვებგვერდზე განთავსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არ იყო საბოლოო ვერსია და სტუდენტთა შეფასების შედეგების აპელაციისა და სტუდენტთა უფლებების დაცვის სხვა პროცედურები გაწერილი იყო ახალ ვერსიაში, რაზეც აღნიშნულია ზემო მსჯელობაში, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვერ დგინდება კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტების მოქმედი ვერსიები;

- კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ არც ერთ შიდა მარეგულირებელ აქტში არ არის გაწერილი პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) წესი და პროცედურა, აღნიშნული მექანიზმები გაწერილი იყო კოლეჯის წარმომადგენლის მიერ მოწოდებულ შეცვლილ სასწავლო პროცესის მართვის წესში (წესის შესახებ აღწერა იხ. 3.1.1.1-ის პირველი აბზაცის აღწერით ნაწილში), თუმცა პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა ინტერვიურებისას ამ მექანიზმების არსებობის ან გამოყენების ფაქტი არ დადასტურდა;

- კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიულ სტუდენტთა სარეკლამო ფოტო მასალა, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა მოცემული სტუდენტებისგან თანხმობის არსებობით, რაზეც დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთ თანხმობებს არ იღებდნენ. აღნიშნული წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევას;

- პროფესიულ სტუდენტთა უფლების დარღვევის კიდევ ერთ ფაქტზე მეტყველებს მათი გაურკვეველი სტატუსი, კერძოდ პროფესიული განათლების მართვის სისტემაში აქტიური სტატუსის მქონე პირებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათ დამთავრებული ჰქონდათ სწავლა, ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ წაღებული ჰქონდა დიპლომი, თუმცა რეესტრში მათ უფიქსირდებათ აქტიური სტატუსი. ეს ფაქტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა იმით ახსნა, რომ კოლეჯი არ ახორციელებს ინფორმაციის განახლებას რეესტრში. ასევე ვერ დგინდება პროფესიულ სტუდენტთა კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი. ექსპერტთა ჯგუფს დოკუმენტაცია არ მიეწოდა, ხოლო ინტერვიურებისას დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა თავდაპირველ საუბარში განაცხადა, რომ კვალიფიკაციის მინიჭების პროცესი დასრულდა 2021 წლის თებერვლის თვეში, პროფესიულ სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ კვალიფიკაცია მიენიჭათ მაისსა და ივნისის თვეში, რისთვისაც ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდა. აღსანიშნავია, რომ კოლეჯში კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა არ არის საკვალიფიკაციო გამოცდა. დაწესებულების წარმომადგენელმა, მას შემდეგ რაც მოისმინა პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა საუბარი, განაცხადა, რომ გამორჩა კვალიფიკაციის მინიჭების მაისისა და ივნისის პერიოდში გამოცემული ბრძანებები, ხოლო ექსპერტთა ჯგუფს ამ ინფორმაციის გადამოწმების შესაძლებლობა კოლეჯმა არ მისცა;

- აქვე საყურადღებოა პროფესიულ სტუდენტთა/დაინტერესებულ პირთა შეცდომაში შეყვანის კიდევ ერთი ფაქტი, კერძოდ: ინტერნეტ მედიაში გავრცელებულია ინფორმაცია კოლეჯის მიერ აგვისტოს თვეში გაცემული ცნობის თაობაზე. ცნობაში აღნიშნულია, რომ დოკუმენტის მიმღები ნამდვილად სწავლობს მოცემულ კოლეჯში ფარმაციის პროგრამაზე და სწავლის დასრულების დრო არის 2023 წელი, მაშინ, როდესაც პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით დაწესებულებას საგნობრივი პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება ეწურება 2021 წლის დეკემბერში, ხოლო კოლეჯის წარმომადგენელთა (რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი) თქმით, კოლეჯში აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტები არ ირიცხებიან, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კი აქტიური სტატუსის მქონე 73 პირი ირიცხება). დაწესებულების საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელმა პირმა ექსპერტთა ჯგუფთან სატელეფონო ინტერვიურებისას განაცხადა, რომ თუ სწორად ახსოვს აგვისტოში გასცა ცნობა, რომლის ასლი კოლეჯში არ დაუტოვებია, თავდაპირველად თქვა, რომ ცნობა ეხებოდა სწავლის ფაქტს, თუმცა მალევე განაცხადა, რომ ფარმაციის პროგრამის დასრულების თაობაზე გასცა ცნობა. ექსეპრტთა ჯგუფმა სთხოვა სტუდენტის გვარი დაესახელებინა ვისზეც გასცა ცნობა, მის მიერ დასახელებული გვარის მქონე პირი პროფესიული განათლებს მართვის საინფორმაციო სისტემაში არ მოიძებნა. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა შემოსული და გასული კორესპოდენციის ჟურნალი და თავად კორესპოდენციები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 3.1.1.1 ინდიკატორი - ***პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა,*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

3.1.1.2 დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტებში ცალეკულ შემთხვევებში მოცემულია კანონმდებლობასთან შეუსაბამო პროცედურები, არაა გაწერილი პროფესიულ სტუდენტთა კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები (იხ. 3.1.1 -ის პირველი ინდიკატორის აღწერა) და შესაბამისად ვერ ხდება ამ უფლებათა რეალიზება. ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულებამ არ მიაწოდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სხვა მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა პროფესიული სტუდენტებისათვის მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გაცნობის ფაქტი. ექსპერტთა ჯგუფმა გასაუბრება სცადა პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან რეესტრში ასახული საკონტაქტო ტელეფონების გამოყენებით, თუმცა 9 მცდელობიდან მხოლოდ 2 პირთან მოხერხდა გასაუბრება. სტუდენტებმა/კურსდამთავრებულებმა ექსპერტების მიერ დასმულ მხოლოდ რამდენიმე კითხვას უპასუხეს და ეს ფაქტი ახსნეს მათი მოუცლელობით. საუბრისას მათ ვერ დაადასტურეს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების გაცნობისა და რეალიზების ფაქტები, ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, თუმცა ვერ იხსენებდნენ რისი უფლება ჰქონდათ, ასევე ვერ გაიხსენეს შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობისა და ამ უფლების რეალიზების ფაქტები. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის შესრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 3.1.1.2 ინდიკატორი - ***პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს,*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

3.1.1.3 დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ დოკუმენტებში მოცემულია სტანდარტული ჩანაწერი ქულების რანჟირების შესახებ, თუმცა არსად არაა ჩანაწერი შეფასების პროცედურების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების წესის, შეფასების ორგანიზების საკითხები, მათ შორის დისტანციური სწავლების პირობებში. დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე არ არის ინფორმაცია შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობისა და აპელაციის პროცედურების თაობაზე. აღნიშნული პროცედურის არსებობის დასტურად, კოლეჯის წარმომადგენელმა წარმოადგინა შეცვლილი სასწავლო პროცესის მართვის წესი (წესის შესახებ აღწერა იხ. 3.1.1.1-ის პირველი აბზაცის აღწერით ნაწილში), თუმცა ამ შესაძლებლობის თაობაზე სტუდენტთა ინფორმირება ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთვრებულებთან ინტერვიურებისას მათ ვერ გაიხსენებს სწავლის შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობის არსებობისა და ამ უფლების რეალიზების ფაქტები. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის შესრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 3.1.1.3 ინდიკატორი - ***პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით,*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

3.1.1.4 დაწესებულებამ არ წარმოადგინა სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მათი პირადი საქმე არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის დადასტურების მიზნით, ან სხვა დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 3.1.1.4 ინდიკატორი - *პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა*, **შეფასდა** <u>**შეუსაბამოდ.**</u>

3.1.1.5 დაწესებულებაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შეიმუშავებისა და განახორციელების წესი, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას, გაწერილია შეცვლილ სასწავლო პროცესის მართვის წესში (წესის შესახებ აღწერა იხ. 3.1.1.1-ის პირველი აბზაცის აღწერით ნაწილში). დაწესეულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შემუშავებული ჰქონდათ ინდივიდუალური გეგმები, თუმცა რა პროცედურებით განახორციელეს და იყო თუ არა პროფესიული სტუდენტები ჩართული, ვერ გაიხსენა. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ მიაწოდა არც ერთი დოკუმენტი, რითაც დადასტურდებოდა კოლეჯის მიერ ინდივიდუალური გეგმის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავების ფაქტი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან სატელეფონო ინტერვიურების დროს მათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების ან არსებობის ფაქტი ვერ გაიხსენეს. კოლეჯის მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე არგუმენტირებული პოზიციის თაობაზე კორესპოდენციით წარმოადგინა კოლეჯში მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისა და ინდივიდუალური გეგმების დამტკიცების შესახებ 7 ბრძანება, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ვერ დგინდება პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღებული/აღიარებული სწავლის შედეგები, გაურკვეველია განათლების აღიარების პროცესი, სტუდენტთა წინმსწრები განათლება, არ ფიქსირდება პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა მიღებული განათლების აღიარების და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 3.1.1.5 ინდიკატორი *პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,* **შეფასდა** <u>**შეუსაბამოდ.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი
2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი“;
3. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის „სასწავლო პროცესის მართვის წესი“;
4. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ვებგვერდი - www.kms.edu.ge;
5. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის მიერ წარმოდგენილი კორესპოდენცია და თანდართული ბრძანებები;
6. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან და პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.2.1.1 პროფესიულ სტუდენტთა კონკულტირებისა და მხარდაჭერის მექანიზმები გაწერილია შეცვლილ სასწავლო პროცესის მართვის წესში (წესის შესახებ აღწერა იხ. 3.1.1.1-ის პირველი აბზაცის აღწერით ნაწილში). ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან განხორციელებული ინტერვიურებიდან გაირკვა, რომ სწავლის დაწყებისა და დასრულების შესახებ ინფორმაციას იღებდნენ კოლეჯის თანამშრომელთა მიერ სატელეფონო კომუნიკაციით, ასევე თავად სტუდენტები ავრცელებნენ ინფორმაციას. თუმცა სტუდენტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია თუ რა სერვისებს სთავაზობდა კოლეჯი ან რა მომსახურების მიღების უფლება ჰქონდათ სწავლის პერიოდში. პროფესიული სტუდენტის მიერ პსდ-სგან სათანადო კონსულტაციასა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მხარდაჭერის მიღების სერვისებით სარგებლობის ფაქტი ვერ დადასტურდა. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის შესრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 3.2.1.1 ინდიკატორი - ***პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად,*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

3.2.1.2 კოლეჯის სასწავლო გარემოსთან პროფესიული სტუდენტის ადაპტაციის პროცესი გაწერილია შეცვლილ სასწავლო პროცესის მართვის წესში (წესის შესახებ აღწერა იხ. 3.1.1.1-ის პირველი აბზაცის აღწერით ნაწილში). კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის თქმით საინფორმაციო შეხვედრებს ატარებდნენ სტუდენტებისათვის და აწვდიდნენ ყველა ინფორმაციას. თუმცა, აღნიშნულის შესრულების მტკიცებულებები ექსპერტთა ჯგუფს არ მიეწოდა. სწავლის დაწყების მომენტიდან სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ხელშეწყობის ფაქტი არც სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთნ ინტერვირებისას დადასტურდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 3.2.1.2 ინდიკატორი - ***პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან,*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

3.2.1.3 სტუდენტის ადმინისტრაციული მხარდაჭერის მიღების პროცედურა გაწერილია შეცვლილ სასწავლო პროცესის მართვის წესში (წესის შესახებ აღწერა იხ. 3.1.1.1-ის პირველი აბზაცის აღწერით ნაწილში). თუმცა არ არის დარეგულირებული ქვეყანაში არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით, დისტანციური მუშაობის პირობებში ადმინისტრაციული მხარდაჭერის მიღების პროცედურები. მეტიც, კოლეჯის საქმისწარმოების წესის პირველი მუხლის 1.8 პუნქტის მიხედვით (03.01.2019, ბრძ. N 1/01) შემოსული კორესპოდენციის მიღება და მათზე მუშაობა ხორციელდება კოლეჯის შენობაში. რაც აღნიშნულ პირობებში შეუძლებელია. ექსპერტთა ჯგუფმა მოახერხა საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან სატელეფონო კომუნიკაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოცხადდება კოლეჯში, ამზადებს დოკუმენტებს და გასცემს. აღნიშნული საჭიროება როგორ დგინდება, მას ინფორმაცია არ ჰქონდა. კოლეჯში შემოსული მატერიალური წერილების თაობაზე ინფორმაციას იღებს დაცვის თანამშრომლისგან. თუმცა, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული ან სხვა სახის დოკუმენტაცია/მტკიცებულება (მაგ. შემოსული და გასული კორესპოდენციის ჟურნალები, თავად კორესპოდენცია, მიმოწერა და სხვა), რაც დაადასტურებდა კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტის გონივრულ ვადაში ადმინისტრაციული მხარდაჭერის ფაქტს, ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 3.2.1.3 ინდიკატორი - ***ვერ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

3.2.1.4 დაწესებულების მიერ დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექნიზმების გამოყენების ფაქტი კოლეჯში არ დადასტურდა. აღნიშნული მექანიზმები გაწერილია შეცვლილ სასწავლო პროცესის მართვის წესში (წესის შესახებ აღწერა იხ. 3.1.1.1-ის პირველი აბზაცის აღწერით ნაწილში), ხოლო კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულ დოკუმენტებში ან ინფორმაციაში, მსგავსი შინაარსის პროცედურები/მექანიზმები გაწერილი არ არის. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ადრე წლებში საახალწლო კარნავალს აწყობდნენ. ბოლო წლების განმავლობაში მსგავსი აქტივობები არ განხორციელებულა. მსგავსი შინაარსის ინფორმაცია იქნა მოწოდებული პროფესიული სტუდენტისგან/კურსდამთავრებულისგან სატელეფონო ინტერვიურებისას. დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 3.2.1.4 ინდიკატორი - ***ვერ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას,*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

3.2.1.5 კოლეჯი არ ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა პერიოდული უკუკავშირის მიღებას, შესაბამისად არ ხდება პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესება. კოლეჯის რექტორის 2019 წლის 9 სექტემბრის N1/16 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს სტუდენტთა, პერსონალისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევის ჩატარების პერიოდებსა და კითხვარებს, თუმცა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2019 წლიდან არ ახორციელებს მსგავს კვლევებს და არ ხდება ანგარიშების შედგენა. შესაბამისად, ვერ ხდება გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და განვითარება. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა არ წარმოადგინა არც ადრინდელი დოკუმენტები, დაწესებულების ვებგვერდზე ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშები ან მსგავსი შინაარსის დოკუმენტები არ იძებნება. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის შესრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 3.2.1.5 ინდიკატორი - *პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას* შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის „სასწავლო პროცესის მართვის წესი“;
2. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის „საქისწარმოების წესი“;
3. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ვებგვერდი - www.kms.edu.ge;
4. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, რექტორთან, საქმისწარმოებაზე პასუხიმგებელ პირთან და პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

31

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.2.2.1 არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის კარიერული მხარდაჭერის სერვისები გაწერილია შეცვლილ სასწავლო პროცესის მართვის წესში (წესის შესახებ აღწერა იხ. 3.1.1.1-ის პირველი აბზაცის აღწერით ნაწილში). კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების თაობაზე ცალკეული ინფორმაცია ელექტრონული სახით აქვს, თუმცა ანგარიშები, დამსაქმებელთა/პარტნიორი ორგანიზაციების რეესტრები, კურსდამთავრებულთა ბაზები, დასაქმების მაჩვენებლები, მათ შორის დასაქმების დინამიკა, მხარდაჭერის სერვისები და ამ პროცესთან დაკავშირებული აქტივობები არ ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ კოლეჯს სტრატეგიული გეგმის მიხედვით ზემოაღნიშნული აქტივობები უნდა განეხორციელებინა 2020 დეკემბრამდე, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, კოლეჯმა ზემოაღნიშნული აქტივობების შესრულების არც ერთი მტკიცებულება არ წარმოადგინა. ასევე არ წარმოადგინა კოლეჯმა არ ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა კოლეჯის მიერ არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 3.2.2.1 ინდიკატორი - ***კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

3.2.2.2 კოლეჯში კომუნიკაციის ტექნოლოგიური/ორგანიზებული სისტემა არ არსებობს. დაწესებულება სისტემატურად არ აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში ურეკავს ცალკეულ სტუდენტებს და აწვდის ინფორმაციას. ერთ შემთხვევაში გაიხსენა კონკრეტული სტუდენტის ხელშეწყობა სამუშაო ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით. კოლეჯში პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებული აქტივობების შესრულების მტკიცებულება არ იძებნება. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით კოლეჯის მიერ განხორციელებული აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია/მტკიცებულება, თუმცა დაწესებულებამ არც ერთი დოკუმენტი ან მტკიცებულება არ წარმოადგინა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 3.2.2.2 ინდიკატორი - ***პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

3.2.2.3 კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფლობს ცალკეულ ინფორმაციას კურსდამთავრებულთა დასაქმების ადგილის თაობაზე, თუმცა დასაქმებასთან დაკავშირებული კვლევები და ინფორმაციის განახლება სისტემატურად არ ხორციელდება, მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯის რექტორის 2019 წლის 9 სექტემბრის N1/16 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს სტუდენტთა, პერსონალისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევის ჩატარების პერიოდებსა და კითხვარებს. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის შესრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, *ჰსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით* შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>

4. დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი, რაც დაადასტურებდა კარიერული მომსახურების თაობაზე კვლევის ჩატარებას და შედეგების შესაბამისად მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის შესრულებას.

შესაბამისად, 3.2.2.4 ინდიკატორი - *კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს* შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის 2019 წლის 9 სექტემბრის N1/16 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
2. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ვებგვერდი - www.kms.edu.ge;
3. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.1.1 პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა არაა შესაბამისობაში დაწესებულების პროცესებთან. დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე გათავსებული/დამატებით წარმოდგენილი არც ერთი მარეგულირებელი აქტით არაა განსაზღვრული ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები. დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფი დაუშვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
შენობის მხოლოდ იმ მხარეს, რომელიც განკუთვნილი იყო სასწავლო პროცესისათვის. აღნიშნულ სივრცეში არსებულ კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული იყო 10 კომპიუტერი, თუმცა აღნიშნული არ არის საკმარისი კოლეჯის ყველა პროცესის უზრუნველსაყოფად. დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა Wi-Fi სისტემის მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა Wi-Fi-ის არსებობაზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაკავშირება ვერ შეძლო. არაერთი მცდელობის მიუხედავად, თავად კოლეჯის წარმომადგენელმაც ვერ მოახერხა ინტერნეტთან ამ ფორმით კავშირი. დაწესებულების პროცესებთან კოლეჯის IT ინფრასტრუქტურის შესაბამისობის დადასტურების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის/მტკიცებულებების (მათ შორის: პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება, IT ინფრასტრუქტურის დათვალიერება, IT ტექნიკის ფლობის დოკუმენტაცია და სხვა) მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება არ წარმოადგინა, ექსპერტთა ჯგუფს არც ინფრასტრუქტურის სრულად დათვალიერების უფლება არ მიეცა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 5.2.1.1 ინდიკატორი - ***პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

5.2.1.2 დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ/დამატებით მოწოდებულ შიდა მარეგულირებელ აქტებში არ არის გაწერილი ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურა, მათ შორის არ არის იდენტიფიცირებული IT რისკები და მათი მართვის მექანიზმები. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 5.2.1.2 ინდიკატორი - ***პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

5.2.1.3 დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ/დამატებით მოწოდებულ შიდა მარეგულირებელ აქტებში არ არის გაწერილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები. ერთი ჩანაწერი მოცემულია შეცვლილ სასწავლო პროცესის მართვის წესში (წესის შესახებ აღწერა იხ. 3.1.1.1-ის პირველი აბზაცის აღწერით ნაწილში), რომელიც ეხება შეფასების შედეგების სტუდენტებისათვის გაცნობის ფაქტს, თუმცა ამ მექანიზმების შესრულების დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება დაწესებულებამ არ წარმოადგინა. დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე სარეკლამო მიზნებისათვის განთავსებულია სტუდენტთა ფოტოები, რომელთა გამოყენებაზე კოლეჯს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
სტუდენტების მხრიდან თანხმობა არ მიუღია, აღნიშნული განაცხადა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, მისი თქმით კოლეჯში სწავლის პერიოდში სტუდენტთა შეფასების თაობაზე ინფორმირება ხდებოდა დაწესებულების ფოიეში დაფაზე სტუდენტთა სახელობითი სიისა და მიღებული ქულების განთავსებით, თუმცა ბოლო პერიოდში ასე არ ხდება. სხვა დამატებითი მტკიცებულებები კოლეჯის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 5.2.1.3 ინდიკატორი - *დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას* შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>

5.2.1.4 დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ/დამატებით წარმოდგენილ შიდა მარეგულირებელ აქტებში არ არის გაწერილი საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები. კოლეჯის რექტორის 2019 წლის 9 სექტემბრის N1/16 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს სტუდენტთა, პერსონალისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევის ჩატარების პერიოდებსა და კითხვარებს, თუმცა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2019 წლის შემდეგ მსგავსი კვლევები არ ჩაუტარებია. ექსპერტთა ჯგუფს არ მიეწოდა არც 2019 წლის ან მანამდე განხორციელებული კვლევის შედეგები. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა კოლეჯის საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასების ფაქტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 5.2.1.4 ინდიკატორი - *პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას* შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>

5.2.1.5 კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული/დამატებით წარმოდგენილი შიდა მარეგულირებელი აქტებით არ არის დარეგულირებული კოლეჯის IT ინფრასტრუქტურითა და მომსახურებით სარგებლობის საკითხები. ერთი ჩანაწერი ფიქსირდება შეცვლილ სასწავლო პროცესის მართვის წესში (წესის შესახებ აღწერა იხ. 3.1.1.1-ის პირველი აბზაცის აღწერით ნაწილში), კერძოდ - „3.4. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია: 3.4.5. ისარგებლოს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით; თუმცა რა პროცედურების გავლით, ვის მიმართვას, რა ვადით და სხვა - დარეგულირებული არ არის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო დაწესებულების შენობის ერთ ნაწილში არსებული კომპიუტერული კლასის დათვალიერება, სადაც განთავსებული იყო 10 კომპიუტერი. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კიდევ 10 კომპიუტერი განლაგებულია შენობის მეორე მხარეს, თუმცა ამ ფაქტის გადამოწმების შესაძლებლობა ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა. კომპიუტერულ კლასში არ იყო პრინტერი და ასლის გადაღების შესაძლებლობა. ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა სხვა მტკიცებულებების შესწავლის შესაძლებლობა, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს. აღნიშნული ასევე ვერ დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 5.2.1.5 ინდიკატორი - ***პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

5.2.1.6 კოლეჯში პროფესიული სტუდენტების და პერსონალის ინფორმირების ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმის/სისტემის არსებობასთან დაკავშირებით კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან კომუნიკაცია ხორციელდება ტელეფონის საშუალებით. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ ცალკეული ჯგუფები სოციალურ ქსელში, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მათი ნახვის შესაძლებელობა არ მიეცა. მისი თქმით კოლეჯში არ ხორციელდება ელ.ფოსტით კომუნიკაცია. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 5.2.1.6 ინდიკატორი - ***პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის 2019 წლის 9 სექტემბრის N1/16 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
2. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ვებგვერდი - www.kms.edu.ge;
3. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიურების შედეგები.
4. კომპიუტერული კლასის ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.2.1 დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის რექტორის 2019 წლის 3 იანვრის N1/01 ბრძანებით. კოლეჯის საქმისწარმოების ერთიან წესში გაწერილი დებულებები არ ეწინააღმდეგება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლი 1 ივლისის N414 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქმისწარმოების ერთიან წესებს“.

შესაბამისად, 5.2.2.1 ინდიკატორი - *პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი* შეფასდა, როგორც <u>სრულად შესაბამისი.</u>

5.2.2.2 კოლეჯის რექტორის 2019 წლის 3 იანვრის N1/01 ბრძანებით დამტკიცებულ საქმისწარმოების ერთიან წესში დოკუმენტბრუნვა გაწერილია მატერიალური საქმისწარმოებისათვის, რომელიც ითვალისწინებს შემოსული და გასული კორესპოდენციის ჟურნალების წარმოებას და ა.შ. კოლეჯის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას განაცხადა, რომ ელექტრონული საქმისწარმოების სისტემასთან (eflow) დაკავშირებით გარკვეული საუბრები იყო კოლეჯში, თუმცა არ აქვთ ინფორმაცია კოლეჯი არის თუ არა ჩართული სისტემაში, რადგან კოლეჯში საქმისწარმოებაში ელექტრონულ სისტემას არ იყენებენ. შესაბამისად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი მტკიცებულება კოლეჯის მიერ მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულებისათვის.

38

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 5.2.2.2 ინდიკატორი - *პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის* **შეფასდა** **<u>შეუსაბამოდ.</u>**

5.2.2.3 კოლეჯის ვებგვერდზე არსებულ/დამატებით წარმოდგენილ შიდა მარეგულირებელი აქტებით გაწერილია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვის ვადები, თუმცა დაწესებულება არ ახორციელებს სისტემაში ინფორმაციის განახლებას. 2018 წლის ჩარიცხვების შემდეგ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაცია კოლეჯს არ განუახლებია. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის თქმით, კოლეჯს ჰყავდა მობილობით გადმოსული სტუდენტები, რომელთა შესახებ სისტემაში ინფორმაცია არ არის ასახული. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ფიქსირდებოდა 73 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტები. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლისა და კოლეჯის რექტორის თქმით მოცემულ მომენტში მათ აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტები არ ჰყავდათ. მოცემული ფაქტი კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა ახსნა საკუთარი ბრალეულობით და თქვა, რომ მას გამორჩა რეესტრში ინფორმაციის შეტანა. ამასთან, რეესტრის საქმისწარმოების ფუნქცია დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტით ევალება სასწავლო პროცესის მართაზე პასუხისმგებელ პირს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 5.2.2.3 ინდიკატორი - *პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას* **შეფასდა** **<u>შეუსაბამოდ.</u>**

4. პსდ-ს არ ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებების დროულად ინფორმირებასა და ანგარიშგებას. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება (მაგ. კორესპოდენციები, კორესპოდენციების დაგზავნის მტკიცებულება და სხვა), რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის კორესპოდენციის დანართით გამოგზავნილი შემოსული და გასული კორექსპოდენციის ჟურნალის მიხედვით, გაგზავნილი დოკუმენტების/ანგარიშების მიწოდების ვადების დაცვის ფაქტები ვერ დგინდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 5.2.2.4 ინდიკატორი - *პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან* **შეფასდა** **<u>შეუსაბამოდ.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის 2019 წლის 3 იანვრის N1/01 ბრძანებით დამტკიცებულ საქმისწარმოების ერთიანი წესი;
2. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლი 1 ივლისის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიან წესები“;
3. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და შემოსული/გასული კორესპოდენციის ჟურნალების ასლები;
4. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ვებგვერდი - www.kms.edu.ge;
5. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიურების შედეგები;
6. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.3.1 პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი არ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და არ ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. მეტიც, ცალკეულ შემთხვევაში კოლეჯის მიერ მიწოდებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
ინფორმაცია არასანდოა, კერძოდ: კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე რუბრიკაში „მთავარი“ ბოლო სიახლე თარიღდება 2016 წლის 24 თებერვლით, სადაც მოცემულია შემდეგი ინფორმაცია - „პანდემიისა და ონლაინ სწავლების გამო, შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში პროფესიულ სტუდენტს აქვს არდადეგების არჩევანი შემდეგ პერიოდებში 01.10-31.12: 01.03-31.05; 01.07-30.09“. დაწესებულების ოფიციალურ სოციალურ ქსელში ბოლო ინფორმაცია გათავსებულია 2019 წლის 26 თებერვალს. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი, რაც უკავშირდებოდა ვეგვერდისა და სოციალური ქსელის ფლობას/მართვას, მათ შორის არ იქნა წარმოდგენილი დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება. ვებ-გვერდზე განთავსებულია პროგრამის 2019 წლის კატალოგი, სტრუქტურა, პსდ-ს მისიის, საქმიანობის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის თაობაზე ინფორმაცია განთავსებულია 2019 წლის კატალოგში, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლის თქმით არ არის ძალაში, შესაბამისად არის შეცდომაში შემყვანი (ვრცლად იხილეთ მესამე სტანდარტის აღწერა). ვებ-გვერდზე არ არის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, საგანმანათლებლო რესურსთან დაკავშირებით მოცემულია ინფორმაცია 3 სახელმძღვალოს შესახებ, რომელზეც თავისუფალი წვდომა შეზღუდულია, განთავსებულია მხოლოდ სახელმძღვალოს ფოტო. დაწესებულების წლიური ანგარიშები ვებგვერდზე განთავსებული არ არის, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის თქმით ასეთი ანგარიშები კოლეჯში არ იწარმოება. პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების თაობაზე მცირე ინფორმაცია მოცემულია სასწავლო პროცესის მართვის წესში. დაწესებულების ვებგვერდზე პროფესიულ სტუდენტთა სარეკლამო ფოტოების განთავსებისას არ არის დაცული პეროსნალურ მონაცემთა შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნები. კოლეჯში არ არის აღნიშნულ პროფესიულ სტუდენტთა წერილობითი თანხმობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 5.2.3.1 ინდიკატორი - ***პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

5.2.3.2დაწესებულება არ ახორციელებდა უცხოენოვან პროგრამას, მის მისიაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხები. ამიტომ დაწესებულებას აქვს მხოლოდ ქართულენოვანი ვებგვერდი www.kms.edu.ge.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

შესაბამისად, 5.2.3.2 ინდიკატორი - ***დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას*** **შეფასდა, როგორც <u>სრულად შესაბამისი.</u>**

5.2.3.3 კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე საგანმანათლებლო პროგრამის რუბრიკაში პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია მხოლოდ კატალოგში, სადაც მოცემულია კოლეჯის მილევად რეჟიმში არსეული ორი პროგრამის (საექთნო საქმე და ფარმაცევტის თანაშემწე) შესახებ ინფორმაცია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი, კატალოგში არ არის ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობისა და პროცედურების თაობაზე. კატალოგი ანონსის სახით მოიცავს იმ პროგრამის თაობაზე ინფორმაციას, რომელთა განხორციელების უფლება კოლეჯს არ აქვს და არც მიმდინარეობს უფლების მოპოვების პროცედურები. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული სასწავლო პროცესის მართვის წესი კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მართვის სამსახურის განცხადებით არის მოძველებული და კოლეჯში არსებობდა ახალი ვერსია (ვრცლად იხ. მე-3 სტანდარტის აღწერა) შესაბამისად, დაწესებულების ვებგვრდზე მოცემული ინფორმაცია არის საზოგადოების შეცდომაში შემყვანი, ამიტომ კოლეჯი არ აუზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 5.2.3.3 ინდიკატორი - ***პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

5.2.3.4 კატალოგში მოცემული ინფორმაცია ცალკეულ შემთხვევებში კანონმდებლობასთან შეუსაბამო და შეცდომაში შემყვანია, კერძოდ: კატალოგში საგანმანათლებლო აქტივობების თაობაზე ანონსის სახით მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, კერძოდ ანონსის სახით მოცემულია ინფორმაცია იმ პროგრამის თაობაზე, რომელთა განხორციელების უფლება კოლეჯს არ აქვს და არც მიმდინარეობს უფლების მოპოვების პროცედურები. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის კატალოგი 2019 წლით თარიღდება. კატალოგის პირველ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
გვერდზე განთავსებულია კოლეჯის მისია კოლეჯის ხედვა 2020 წლისათვის. აღსანიშნავია, რომ იგივე ხედვა კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმაში თარიღდება 2025 წლით. ამავე კატალოგში მოცემული დასვენების დღეები არ შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ უქმე დღეებს. კატალოგში მოცემულია კოლეჯის მილევად რეჟიმში არსებული ორი პროგრამის (საექთნო საქმე და ფარმაცევტის თანაშემწე) შესახებ ინფორმაცია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი, კატალოგში არ არის ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობისა და პროცედურების თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 5.2.3.4 ინდიკატორი - ***საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

5.2.3.5 პროგრამების კატალოგი არ ახლდება წლიურად და ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული კატალოგი 2019 წლისაა, ხოლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სასწავლო აქტივობა კოლეჯში დასრულდა 2021 წლის გაზაფხულზე. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 5.2.3.5 ინდიკატორი - ***პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად*** **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

5.2.3.6 საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ არ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ შინაარსის კვლევებს კოლეჯი არ ახორციელებს. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად კოლეჯმა ვერ დაადასტურა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესი ფორმალიზების არსებობა (შიდა მარეგულირებელი წესის/პროცედურის არსებობა), არ არის პასუხისმგებელი პირი გამოყოფილი. ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გათავსებული ინფორმაცია 2019 წლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free
თარიღდება. შესაბამისად, დაწესებულება არ ზრუნავს საკუთარი პროცესების გაუმჯობესებაზე. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა არც ერთი დოკუმენტი/მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების ფაქტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 5.2.3.6 ინდიკატორი -საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ვებგვერდი - www.kms.edu.ge;
2. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია;
3. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

5.3.1 კომპონენტის 1-4 კოპონენტის მოთხოვნათა შესრულებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის საფინანსო და საბუღალტრო ოპერაციების განხორციელებაზე პასუხისგებელ პირთან, რომელიც ამავდროულად იყო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი. ინტერვიურებისას მან განაცხადა, რომ კოლეჯში არ ხდება ინტიტუციური საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენა და მისი შესრულების თაობაზე ანგარიშგება, არ იწარმოება დაფინანსების დინამიკა, არ ხდება სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების შედგენა, მეტიც დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია 2019 წლის სამოქმედო გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ არ წარმოადგინა დაწესებულების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის არც ერთი დოკუმენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

5.3.1.1 ინდიკატორი - *პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება* **შეფასდა <u>შეუსაბამოდ;</u>**

5.3.1.2 ინდიკატორი - *საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით* **შეფასდა <u>შეუსაბამოდ;</u>**

5.3.1.3 ინდიკატორი - *დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას* **შეფასდა <u>შეუსაბამოდ;</u>**

5.3.1.4 ინდიკატორი - *დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე* **შეფასდა <u>შეუსაბამოდ.</u>**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის საფინანსო და საბუღალტრო ოპერაციების განხორციელებაზე პასუხისგებელ პირთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

XII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. შპს ქუთაისის სამედიცინო კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტის თაობაზე აქტი (15.09.2021);
დანართი 3. შპს ქუთაისის სამედიცინო კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ამსახველი ფოტო მასალა;
დანართი 4. ინტერნეტ მედიაში - www.feedc გავრცელებული რეპორტაჟი - **კორუფცია ისევ საგანმანათლებლო დაწესებულებებში? რა ხდება ქუთაისის სამედიცინო კოლეჯში?**
დანართი 5. შპს ქუთაისის სამედიცინო კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის წესი;

15.10.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____